პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტის, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ, профкома и месткома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოცემის მეხუთე წელი

№ 7 (143)
ოთხშაბათი
14
მარტი
1956 წ.
ფასი 20 კაპ.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მუშა-მოსამსახურეებისათვის დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების შესახებ

დაწესდეს 1956 წლის 10 მარტიდან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეებისათვის დასვენების წინა დღეებში და უქმეების წინა დღეებში ნორმალურთან შედარებით ორი საათით შემცირებული, ე. ი. ექვსი საათის ხანგრძლივობის სამუშაო დღე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1956 წლის 8 მარტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მუშა-მოსამსახურეებისათვის დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 8 მარტის ბრძანებულების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. 1956 წლის 10 მარტიდან საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეებისათვის დასვენების წინა დღეებში და უქმეების წინა დღეებში ნორმალურთან შედარებით შემოღებულ იქნას ორი საათით შემცირებული ე. ი. 6 საათის ხანგრძლივობის სამუშაო დღე.

იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომელთაც ამჟამად აქვთ შვიდი საათის სამუშაო დღე, დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დღის ხანგრძლივობა დაწესდეს აგრეთვე ექვსი საათი. იმ პირებისათვის, რომელთაც აქვთ ექვსი საათისა და ნაკლები ხნის სამუშაო დღე, სამუშაო დღის ხანგრძლივობა დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში არ შეიცვალოს.

მუშაობა აღნიშნულ დღეებში უნდა დაიწყოს ჩვეულებრივ დროს და შეიძლება წარმოებდეს სადილისათვის შესვენების გამოუყენებლად საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის შეთანხმებით პროფკავშირის ქარხნის-საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან.

2. განუწყვეტელ წარმოებაში, აგრეთვე სამუშაოთა ცალკეულ დარგებსა ან სამუშაოებზე, რომლებშიც წარმოების პირობებით შეუძლებელია შემცირებული სამუშაო დღის შემოღება დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში, მიეცეთ მუშებსა და მოსამსახურეებს დამატებით ერთი დასვენების დღე ყოველი თვის დასვენების წინა დღისა და უქმეების წინა დღეებში, რომლებიც ნამუშევარია რვა-რვა საათს.

ცალკეულ სეზონურ სამუშაოებზე, სადაც დასვენების დამატებითი დღეების მიცემა სეზონის პერიოდში შეუძლებელია, დასაშვებია გამონაკლისის სახით ასეთი დღეების შეჯამება მთელი სეზონის განმავლობაში და დამატებითი დასვენების დღეების მიცემა სეზონთა შორის პერიოდში.

სამუშაოთა ამ დარგებისა და სახეობათა ნუსხას, რომლებშიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ პუნქტში აღნიშნული კომპენსაციები, აწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, აგრეთვე საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების მინისტრები, პროფკავშირთა სათანადო ცენტრალურ კომიტეტებთან შეთანხმებით.

3. შემოღებულ იქნას დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში მუშა-მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების შემდეგი წესი:

ა) დროითი ანაზღაურებისას ხელფასი მიცემულ იქნას, როგორც სრული სამუშაო დღისათვის;

ბ) ნარდით ანაზღაურებისას ხელფასი გაიცეს შესრულებული სამუშაოს თანახმად. ამასთან საწარმოთა ხელმძღვანელები ვალდებული არიან უზრუნველყონ მუშათა უფრო მეტი ნაყოფიერი მუშაობის პირობები წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, სამუშაო ადგილის უკეთ მოწყობით, გაცდენისა და სამუშაო დროის სხვა დანაკარგის ლიკვიდაციის გზით, რათა მუშების თვიური ხელფასი არ შემცირდეს დასვენების და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირებასთან დაკავშირებით.

4. დაევალოს სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ შემცირებული სამუშაო დღის შემოღებას, ხელფასის დაწესებული ფონდის ფარგლებში სამინისტროებსა და უწყებებში. აგრეთვე წარმოების მოცულობის, შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის თვითღირებულების შესახებ დაწესებულ დავალებათა უთუო შესრულებას წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, შინაგანი რეზერვების ყველაზე სრული გამოყენებისა და შტატებში ზედმეტობის ლიკვიდაციის საფუძველზე.

5. დაევალოს სამინისტროთა, უწყებათა ხელმძღვანელებს, აგრეთვე ადგილობრივ ორგანიზაციებს უზრუნველყონ იმ აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესებასთან დასვენების დღეებსა და უქმეების წინა დღეებში: ცვლილებანი საგარეუბნო და ადგილობრივი ტრანსპორტის, საზოგადოებრივი კვების საწარმოების, სავაჭრო და კომუნალური საწარმოების, კულტურულ-საგანმანათლებლო და თეატრალურ-სანახაობითი, აგრეთვე სამკურნალო, სამედიცინო და სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის რეჟიმში.

გატაცებით მუშაობენ

არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ყოველ ადამიანს თავისი საყვარელი სპეციალობა იტაცებს და ხშირად თავდავიწყებითაც.

არ მინდა ვინმეს ეს პარადოქსალურად მოეჩვენოს, მაგრამ ნამდვილია ის ამბავი, რომ, როცა ქიმიკოსი ლაბორატორიაში შედის, მას რაღაც გაურკვეველი შინაგანი მღელვარება იპყრობს, და მასში სურვილი საკუთარი ხელით, საკუთარი უნარით რაღაც ახლის შექმნისა თავისთავად იბადება.

ჩვენი სტუდენტები ამას ყოველთვის განიცდიან, როცა ისინი სავალდებულო საათებს ატარებენ ლაბორატორიაში. მაგრამ ეს გრძნობა უფრო ცხოველი ხდება, როცა სტუდენტს თავის დამოუკიდებელ მუშაობაში მეცნიერული კვლევა-ძიების ელემენტები შეაქვს.

ყველაფერი ეს თქვენთვის ცხადი გახდება, თუ ერთი წუთით შევალთ ორგანული ქიმიის ლაბორატორიაში და ვკითხავთ III კურსის სტუდენტებს ელ. კვეზერელს, ლ. ნადარეიშვილს, ი. ტოპერმანს, მეოთხეკურსელ შ. ფიჩხაძეს, რა გატაცებით მუშაობენ ისინი არჩეულ თემებზე. მათი ხელმძღვანელებიც (პროფესორები ა. ნოღაიდელი და ა. კახნიაშვილი) ამასვე გვეტყვიან; გვეტყვიან, თუ როგორ ენერგიულად, მონდომებით ატარებენ ისინი საკმაოდ რთულ ექსპერიმენტებს. გაიგებთ იმასაც, რომ ელ. კვეზერელის სამუშაო თემა „ნაფტილ-ძმარმჟავას მიღება" პრაქტიკული მნიშვნელობისაა და რამდენადაც ნაფტილ-ძმარმჟავა გამოყენებულია მცენარეთა ზრდის სტიმულატორად, ელ. კვეზერელს მიზნად აქვს დასახული მისი მეტი გამოსავლის მიღება.

ლ. ნადარეიშვილი მუშაობს თემაზე „ეთილენ-აცეტილენის რიგის დიოქსინაწარმის სინთეზი", ხოლო ი. ტოპერმანის კვლევის საგანს შეადგენს „შერეულ რადიკალიანი აცეტილენის რიგის დიოქსინაწარმის სინთეზი".

ანალოგიურ საკითხებზე მუშაობს შ. ფიჩხაძეც. პროფ. ა. ნოღაიდელმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ამ სამივე საკითხს აქვს თეორიული მნიშვნელობა და კარგი შედეგების მიღების შემთხვევაში შეიძლება პრაქტიკული გამოყენებაც პოვოს პლასტმასებსა და ლაქ-საღებავებში.

მ. ჭუხირიძე

ემზადებიან სადიპლომო შრომების დაცვისათვის

მეხუთეკურსელებისათვის მოახლოვდა ყველაზე საპასუხისმგებლო პერიოდი — სადიპლომო ნაშრომების დაცვა. ახალგაზრდები თავის სადიპლომო ნაშრომებში გვაძლევენ საკუთარი კვლევის შედეგებს ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ.

ბიოლოგიის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტები უკვე დიდი ხანია შეუდგნენ სადიპლომო ნაშრომებზე მუშაობას; მათგან ხელმძღვანელობითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან გ. კვინიხიძე, გ. ორჯელანიშვილი, ო. ქორქია, ც. ღვალაძე და სხვები.

სურათებზე: 1. (მარცხნიდან მარჯვნივ) სტუდენტები ე. ჩიხარულიძე და ი. ქორქია მუშაობენ უხერხემლოთა ზოოლოგიის ლაბორატორიაში. 2. სტუდენტი გ. მადრაძე მუშაობს სადიპლომო ნაშრომზე ხერხემლიანთა შედარებით ანატომიაში. 3. სტუდენტი ო. ქორქია ველზე — მასალის აღების დროს.

ფოტო რ. ვართანოვისა

შეჯიბრება ჭადრაკში უნივერსიტეტის პირველობაზე

27 თებერვალს დაიწყო ნახევარფინალური შეჯიბრება ჭადრაკში უნივერსიტეტის პირველობაზე ვაჟთა შორის. პირველ ნახევარფინალურ ჯგუფში მონაწილეობს I, II და III თანრიგის 11 მოჭადრაკე. მეორე ნახევარფინალში — თორმეტი მესამეთანრიგოსანი.

ნახევარფინალებში გამარჯვებულები (6 პირველი ჯგუფიდან და ორი მეორე ჯგუფიდან) უნივერსიტეტის უძლიერეს პირველთანრიგოსნებთან ერთად შეადგენენ ფინალს, რომელიც დაიწყება 23 მარტს.

ორივე ნახევარფინალურ ჯგუფში უკვე ჩატარებულია რვა ტური.

პირველ ჯგუფში წინ მიდიან ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი მეორეთანრიგოსანი გ. სამსონია (3 ქულა 5 შესაძლებლიდან), მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი მეორეთანრიგოსანი ი. პეტრიაშვილი (4 ქულა 7-დან) და ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი პირველთანრიგოსანი ლ. ჭოლოყაძე (2,5 ქულა 3-დან).

მეორე ჯგუფში ლიდერობენ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები ა. გრინბერგი (6,5 ქულა 8-დან) და რ. შავიშვილი (5,5 ქულა 8-დან).

7 მარტს დაიწყო ორი ნახევარფინალური შეჯიბრება ჭადრაკში უნივერსიტეტის პირველობაზე ქალთა შორის. თითოეულ ნახევარფინალურ ჯგუფში მონაწილეობას იღებს თერთმეტი მოჭადრაკე. ნახევარფინალებში გამარჯვებული ხუთ-ხუთი მოჭადრაკე ქალი მონაწილეობას მიიღებს ფინალურ შეჯიბრებაში. ამას გარდა, ფინალში დაშვებულია პერსონალურად პირველთანრიგოსანი ლიანა ხუჭუაძე.

უნივერსიტეტის საჭადრაკო შეჯიბრების მსაჯია (როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის) რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ვ. პირ[illegible].

ფინალურ ტურნირებში გამარჯვებულთათვის დაწესებულია საპრიზო ჯილდო.

ქალთა პირველობის ფინალში დაწესებულია აგრეთვე სპეციალური ჯილდო ულამაზესი პარტიისათვის.

სტუდენტთა სამეცნიერო წრის სესია

მიმდინარე წლის 7 მარტს ბიოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო წრემ მოაწყო გენიალური რუსი ფიზიოლოგის აკადემიკოს ივანე პეტრეს-ძე პავლოვის გარდაცვალების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სესია. სესიაზე მოსმენილ იქნა საინტერესო მოხსენებები. სტუდენტმა ლ. კვირკველიამ მოხსენება გააკეთა პავლოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ნ. სიხარულიძემ—უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ.

დასასრულს ნაჩვენები იყო კინოფილმი „პავლოვის ცხოვრება და მოღვაწეობა".

რ. [illegible]

სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდები

ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა თავისი ფონდების სიმდიდრით ერთ-ერთ უდიდეს ბიბლიოთეკად ითვლება რესპუბლიკაში.

ბიბლიოთეკის ფონდში ბევრი იშვიათი ძვირფასი გამოცემა მოიპოვება, როგორიცაა პირველი ქართული წიგნი, ვახტანგისეული პირველნაბეჭდი წიგნები, იშვიათი გამოცემები უცხოურ ენებზე XVI და XVII სს. და სხვ.

ბიბლიოთეკის პერიოდული გამოცემების ფონდებში მოიპოვება ისეთი გამოცემები, რომლებიც ძნელად თუ მოიძებნება სხვაგან. ასეთია პირველი ქართული გაზეთი—„საქართველოს გაზეთი" (1819 წ.), „ცისკარი", „მნათობი" და „კვალი"-ს სრული კომპლექტები. რუსული ჟურნალებიდან — „სოვრემენიკი", „პოლიარნაია ზვეზდა", „კოლოკოლი" და სხვა. ამას გარდა აქ კარგადაა წარმოდგენილი უცხოური ჟურნალებიც.

ჩვენს ბიბლიოთეკას გადმოეცა საინტერესო და მეტად მდიდარი კოლექციები საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, ასევე მთელი [illegible] ცაგარლის, პლატონ იოსელიანის და სხვათა ბიბლიოთეკები.

ფონდების საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენს უცხოური გამოცემები. აქ არის ფრანგულ, ჩინურ, კორეულ, იაპონურ და სხვა ენებზე გამოცემული წიგნები.

მდიდარია ლექსიკონებისა და ენციკლოპედიების ფონდიც. იშვიათი ლექსიკონებიც მრავლად მოიპოვება ჩვენს წიგნსაცავში: ასეთია საბას ლექსიკონის პირველი გამოცემა, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონები და სხვ.

აღნიშნული ფონდების სიმდიდრე ხელს გვიწყობს მაღალ დონეზე დავაყენოთ საბიბლიოთეკო მუშაობა, კიდევ და კიდევ გავაუმჯობესოთ ჩვენი სტუდენტობისა და მეცნიერ მუშაკთა მომსახურება.

საჭიროა ყველა მკითხველმა დაიცვათ ჩვენი ბიბლიოთეკა, გაუფრთხილდეთ თითოეულ წიგნს, ჟურნალსა და გაზეთს.

თ. ჭანტაძე

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა ბიბლიოთეკის თანამშრომლები მკითხველთა ყოველდღიური მომსახურებისათვის დიდ ენერგიას ხარჯავენ. საჭირო წიგნის მოძებნა, მისი გატარება მკითხველის აბონემენტში, წიგნის მიღება და სხვა; ეს ყველაფერი ისე უნდა ხდებოდეს, რომ ადგილი არ ჰქონდეს შეფერხებას.

მართლაც და ძალიან ძნელია წიგნების უდიდეს რაოდენობაში საჭირო წიგნის მოძებნა. მაგრამ ამ საქმეს ადვილად ართმევს თავს უფროსი ბიბლიოთეკარი ნ. გაშაკიძე. იგი უკვე 22 წელია, რაც ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა ბიბლიოთეკაში მუშაობს და მთელი გულით და სულით შეიყვარა ეს საქმე. მან თითქმის ზეპირად იცის თავისი წიგნების განლაგება და ამიტომ წიგნის მოძებნა მისთვის სიძნელეს არ წარმოადგენს.

სურათზე: უფროსი ბიბლიოთეკარი ნ. გაშაკიძე თაროდან იღებს სტუდენტისათვის საჭირო წიგნს.

ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის პერიოდიკის დარბაზი ყოველდღიურად სავსეა მკითხველებით. მათთვის აქ ყოველთვის არის მრავალი დასახელების ცენტრალური თუ ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთი. გარდა ამისა მკითხველებს აქ შეუძლიათ ისარგებლონ ისეთი პერიოდული გამოცემებით, რომლებიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ. აქ სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებზე მუშაობენ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და თანამშრომლები.

სურათზე: მკითხველები უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის პერიოდიკის დარბაზში.

მკითხველთა მომსახურება სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და პროფესორ-მასწავლებლები პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური და განუხრელი ზრუნვის პასუხად იბრძვიან იმისათვის, რომ ჩვენს დიად სამშობლოს აღუზარდონ ყოველმხრივ განათლებული და შეგნებული მომავალი სპეციალისტები, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის მაღალკვალიფიციური კადრები. სტუდენტთა დიდი უმრავლესობა, რომელიც ჩაბმულია უნივერსიტეტის ყოველდღიური მრავალმხრივი და შინაარსიანი საქმიანობის ფერხულში, გამოირჩევა სანიმუშო ყოფაქცევით და თავის ძირითად საქმეს—სწავლას—მთელი შეგნებულობითა და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება, ხარბად ეწაფება ცოდნას სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის მომარჯვებითა და გამოყენებით, რითაც იგი, პროფესორ-მასწავლებელთა მხრით, ქებასა და მაღალ შეფასებას იმსახურებს.

უნივერსიტეტში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და სტუდენტთა შორის სამეცნიერო-კვლევითი ჩვევების დანერგვის საქმეში დიდი მოვალეობა აკისრია სამეცნიერო ბიბლიოთეკას. იგი მოწოდებულია მთლიანად უზრუნველყოს მთელი სასწავლო სამეცნიერო პროცესი ყველა საჭირო ლიტერატურით.

ყოველდღიურად იზრდება სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, რომელიც 1 282 500 ტომს შეადგენს. 1945 წელთან შედარებით ჩვენი სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 648 500 ერთეულით, ანუ 109 პროცენტით გაიზარდა.

სამეცნიერო ბიბლიოთეკას მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკასთან, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკასთან, მოკავშირე რესპუბლიკების უნივერსიტეტების სამეცნიერო ბიბლიოთეკებთან, რომელთაც გაცვლის წესით უგზავნის ჩვენი უნივერსიტეტის შრომებს და თავის მხრით მათგანაც იღებს აღნიშნული უნივერსიტეტებისა და ბიბლიოთეკების გამოცემებს.

სამეცნიერო ბიბლიოთეკა იბრძვის იმისათვის, რომ უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი იყოს მისი მკითხველი. მაგრამ ჯერ კიდევ სტუდენტთა მხოლოდ 80%-ია მასში გაერთიანებული. მექანიკა-მათემატიკის, აღმოსავლეთმცოდნეობის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, ბიოლოგიისა და ქიმიის ფაკულტეტებიდან კი სტუდენტთა საერთო შემადგენლობის მხოლოდ 65% სარგებლობს ბიბლიოთეკით.

სამეცნიერო ბიბლიოთეკაში იზრდება რა წიგნადი ფონდი, ამავე დროს უმჯობესდება მკითხველთა მომსახურებაც. ამ მიზნით ხშირად ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, კონსულტაციები, წიგნებისა და პერიოდული გამოცემების გამოფენები. ბიბლიოთეკას მის მუშაობაში დიდ დახმარებას უწევს მკითხველთა კონფერენციების ჩატარება. აღნიშნული კონფერენციები ხელს გვიწყობს ბიბლიოთეკის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლინებაში, მათი დაძლევის გზების გამონახვაში.

სამეცნიერო ბიბლიოთეკაში კონსულტაციების ჩატარების დროს მკითხველებს ეძლევათ ზეპირი და წერილობითი ცნობები. აქვე ეწევიან მათ საჭირო დახმარებას სადისერტაციო, სადიპლომო და საკურსო შრომებისათვის სათანადო ბიბლიოგრაფიის შედგენაში.

მკითხველებს მომსახურება ეწევათ ხუთ ნათელ და კარგად მოწყობილ სამკითხველო დარბაზში, სადაც ყოველდღიურად საშუალოდ 1000—1200 კაცი მეცადინეობს.

მკითხველები უზრუნველყოფილი არიან საბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტითაც, რომლის მეშვეობითაც მათ შეუძლიათ ჩვენი ქვეყნის ყველა ბიბლიოთეკიდან გამოიწერონ მათთვის საჭირო წიგნი.

მკითხველთა მომსახურების საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საფაკულტეტო და კაბინეტების ბიბლიოთეკები. აღნიშნული ბიბლიოთეკები სტუდენტებთან ატარებენ კონსულტაციებს, დახმარებას უწევენ მათ ლიტერატურის შერჩევა-მოწოდებაში, აწვდიან წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთებს, რუკებს, დიაგრამებს და სხვა საჭირო მასალებს. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ფიზიკის, ქიმიის, ფილოლოგიის, ბიოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, გეოგრაფია-გეოლოგიისა და იურიდიული ფაკულტეტების ბიბლიოთეკები.

ასევე მრავალმხრივია მარქსიზმ-ლენინიზმის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტიკური ეკონომიის, ეკონომიური გეოგრაფიის, პედაგოგიკის, რუსული ენის, საქონელმცოდნეობის, კავკასიურ ენათა, მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კაბინეტების ბიბლიოთეკების მუშაობა.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შემოსული ყველა წიგნი მუშავდება სათანადო წესის მიხედვით, ინახება მის ფონდებში და ითვლება ბიბლიოთეკის ქონებად.

ბიბლიოთეკის თანამშრომლები თითოეულ წიგნს დიდი პასუხისმგებლობითა და მზრუნველობით უვლიან, იცავენ მას დაზიანებისა და დაკარგვისაგან, ზრუნავენ იმისათვის, რომ უნივერსიტეტის მდიდარ და მრავალფეროვან ფონდს არ გამოაკლდეს არც ერთი წიგნი.

წიგნებისადმი ასეთივე მოპყრობას მოითხოვს ბიბლიოთეკა მკითხველთაგანაც, მაგრამ ყველა მკითხველი როდი იცავს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში არსებულ წესებს. ხშირია შემთხვევა, როცა ზოგიერთი მკითხველი დახაზულ, დასვრილ ანდა დაგლეჯილ წიგნს აბრუნებს უკან. ჩვენს აბონენტთა შორის მოიპოვებიან ისეთი მკითხველებიც, რომლებიც ბიბლიოთეკიდან გატანილ წიგნებს უკვე პირად საკუთრებად თვლიან და აღარც კი ფიქრობენ მათ დაბრუნებაზე.

ასეთი მკითხველები ხშირად „დაჰკარგავენ" რა ძვირფას და ძნელად საშოვარ წიგნს, შემდეგ სანაცვლოდ გვთავაზობენ ყველასათვის ხელმისაწვდომს, ანდა მისი პირადი ბიბლიოთეკისათვის ზედმეტ წიგნს.

სამეცნიერო ბიბლიოთეკა მკითხველებთან გარკვეულ მუშაობას ატარებს, რათა ისინი შეაჩვიოს გატანილი წიგნის დროულად დაბრუნებას. ამასთანავე, ამ მხრივ საჭიროა შეიქმნას საზოგადოებრივი აზრი ისეთ მკითხველთა მიმართ, რომლებიც დროულად არ აბრუნებენ ანდა [illegible] სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნებს. ამ მიმართულებით ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

სამეცნიერო ბიბლიოთეკა სისტემატურად იბრძოლებს იმისათვის, რომ ყოველმხრივ შეუწყოს ხელი უნივერსიტეტში სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო მუშაობის ნორმალურად წარმართვას.

ვ. ხუცურაული,
უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.

სანიმუშო მუშაობისათვის

საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებასთან ერთად იზრდება აგრეთვე ბიბლიოთეკების მნიშვნელობაც. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში საგრძნობლად გაიზარდა მკითხველთა რაოდენობა და გაუმჯობესდა მკითხველთა მომსახურება. ჩვენს მკითხველებს რამდენიმე სამკითხველო დარბაზი აქვთ, სადაც მათ დიფერენცირებული მომსახურება ეწევათ.

გარდა სპეციალური დარბაზებისა, ჩვენს სტუდენტობას დიდ მომსახურებას უწევს აგრეთვე 11 საფაკულტეტო და 57 საკაბინეტო ბიბლიოთეკა. საკაბინეტო და საფაკულტეტო ბიბლიოთეკები კარგად არიან დაკომპლექტებული სპეციალური ლიტერატურით; ისინი დღეში საშუალოდ 200-ზე მეტ კაცს ემსახურებიან წიგნის გაცემით. მაგრამ ზოგიერთი კაბინეტი გადატვირთულია ლექციებით, რაც ხელს უშლის მკითხველთა კარგ მომსახურებას.

ზოგიერთ კაბინეტში ფართობის უქონლობის გამო წიგნები ძალზე მჭიდროდ არის დალაგებული ყოველგვარი წესის გარეშე, რაც ხელს უშლის მათ სწრაფად მონახვას და გაცემას.

მკითხველთა ნორმალურად მომსახურებისათვის საჭიროა, რომ კაბინეტებში შეძლებისდაგვარად შემცირდეს ლექციების რიცხვი და წიგნადი ფონდების მოწესრიგების მიზნით მათ მიეცეთ ახალი კარადები და თაროები.

სწორი და გეგმიური დაკომპლექტებისათვის აუცილებელია, რომ უნივერსიტეტის ბუხჰალტერია სისტემატურად, კვარტალურად ურიცხავდეს კაბინეტებს წიგნების შესაძენ თანხებს, ხოლო კაბინეტებმა წლის დასაწყისშივე იცოდნენ თანხების რაოდენობა. **ვ. აბაშიძე**

ფაქიზად მოვეპყრათ წიგნებს

ყველა ქვეყნისა და დროის მოწინავე ადამიანები წიგნს თავიანთ უახლოეს მეგობრად თვლიდნენ. საყოველთაოდ ცნობილია მარქსიზმის კლასიკოსების შესანიშნავი გამონათქვამები წიგნის შესახებ.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა დაემართებოდა კაცობრიობას უწიგნოდ. მაშინ წარსულის გამოცდილება წარსულშივე დარჩებოდა და ადამიანები იძულებული იქნებოდნენ ეცხოვრათ მხოლოდ დღევანდელი დღით.

ზოგ ახალგაზრდას, ჯერ შეუგნია წიგნის ეს უდიდესი მნიშვნელობა. ისინი უდიერად ეპყრობიან წიგნებს. სჭრიან მასში მათთვის საჭირო ფურცლებს, თვითნებურად ხაზავენ მელნით ცალკეულ ადგილებს.

სტუდენტთა სამკითხველოში გერმანული ენის სახელმძღვანელოს თითქმის არცერთ ეგზემპლარში არ აღმოჩნდა ბევრი საჭირო პარაგრაფი. ანალოგიური მდგომარეობა ზოგიერთ კაბინეტშიც. სადაც ზოგჯერ ასეთი უხეშობის ნაკვალევი იშვიათ ეგზემპლარებსაც კი ატყვიათ.

დროა ბოლო მოვუღოთ წიგნებისადმი უხეშ დამოკიდებულებას!

ნ. მგელაძე

დროა შევიგნოთ

ჯერ კიდევ სკოლაში გვასწავლიდნენ, რომ ზრდილობასთან და თავმდაბლობასთან ერთად, უფროს-უმცროსებთან წესიერად მოქცევის გარდა, საჭიროა გავუფრთხილდეთ საზოგადო ქონებას, წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს.

ერთი შეხედვით დღეს სტუდენტებისათვის ამაზე მითითება ზედმეტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ასე არ არის. ბევრი ჩვენგანი არ უფრთხილდება საზოგადო ქონებას. სამკითხველო დარბაზში ხშირად ნახავთ გაუფრთხილებელი მოპყრობის შედეგად გაფუჭებულ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს. მკითხველის აღტაცების, სიხარულს თუ სინანულს წაკითხულის გამო ვხედავთ წიგნის გვერდებზე გაკეთებული წარწერებისა და შენიშვნებისაგან. წიგნების გვერდები აჭრელებულია ზოგჯერ უაზრო წარწერებით. საჭიროა ბრძოლა გამოვუცხადოთ წიგნებისადმი ამგვარ აღმაშფოთებელ დამოკიდებულებას.

ა. მილაშა

პედაგოგიური პრაქტიკა ქართულ ენაში

11 სემესტრის დასაწყისიდან ტარდება სასწავლო პედაგოგიური პრაქტიკა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. პედპრაქტიკას გადის ფილოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტების 85 სტუდენტი. მათ უკვე დაამთავრეს პრაქტიკის I საფეხური და ამჟამად თვითონ გადასცემენ გაკვეთილებს. ახალი სასწავლო გეგმით ყოველი სტუდენტი გადასცემს 6 გაკვეთილს: სამს — ენაში და სამს — ლიტერატურაში. პედაგოგიური პრაქტიკა უნდა დამთავრდეს 21 აპრილისათვის.

სტუდენტები განაწილებული არიან ქ. თბილისის 51-ე და 53-ე საშუალო სკოლებში. ამავე სკოლებში უხდებათ პედპრაქტიკის გავლა უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტების, აგრეთვე პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისა და უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს. ეს გარემოება საკმაოდ ტვირთავს აღნიშნულ სკოლებს და ქმნის გარკვეულ სიძნელეებს. აუცილებელია, მომავალი სასწავლო წლისათვის შერჩეულ იქნეს სხვა სკოლებიც. სასურველია, სტუდენტები პედპრაქტიკას გადიოდნენ თბილისის გარეუბნისა და მახლობელი რაიონების სოფლის სკოლებშიაც. ამით ისინი გაეცნობიან სოფლის პირობებში მუშაობის სპეციფიკასაც.

პედპრაქტიკის ჩატარებისას გარკვეულ დაბრკოლებებს ქმნის ის გარემოება, რომ ქართულ ენაში სკოლებს არა აქვთ დიდაქტიკური მასალა, თვალსაჩინოების ხელსაწყოები. პრაქტიკანტ სტუდენტებს კი პრაქტიკისათვის განკუთვნილი ვადებისა და შექმნილი პირობების გამო საშუალება არა აქვთ თვითონ შექმნან ეს ხელსაწყოები.

ქართულ ენაში ჩვენი სტუდენტების პედაგოგიურ პრაქტიკას ხელმძღვანელობენ პროფ. ვ. თოფურია, დოც. ა. თალაკვაძე და სხვები. სტუდენტების მეტმა ნაწილმა ამ საგანში უკვე ჩაატარა 2-2 გაკვეთილი. ისინი სრული მონდომებით ეკიდებიან ამ საქმეს და ცდილობენ წარმატება მოიპოვონ მათი პედაგოგიური მოღვაწეობის დასაწყისშივე. ყოველი პრაქტიკანტი სტუდენტი ცდილობს გამოიყენოს წინა გაკვეთილის გადაცემის დროს მიღებული გამოცდილება და მომდევნო გაკვეთილზე აიცდინოს შენიშნული ხარვეზები. ამიტომ არის, რომ პრაქტიკანტების მიერ ჩატარებული მორიგი გაკვეთილი პირველთან შედარებით მაღლა დგას როგორც ორგანიზაციულად, ისე მეთოდურად. მაგალითად, სტუდენტმა რ. ქავთარაძემ ქართულ ენაში ვერ შეძლო წინასწარი გეგმით კარგად გააზრებული გაკვეთილის ბოლომდე მიყვანა. სამაგიეროდ მეორე გაკვეთილი მან იმდენად ნორმალურად წარმართა, რომ კარგი შეფასება დაიმსახურა.

კარგი მომზადება და პედაგოგიური ალღო გამოავლინა მრავალმა სტუდენტმა. ბევრმა მათგანმა პირველ გაკვეთილზევე დაიმსახურა ფრიადი შეფასება. აღსანიშნავი არიან სტუდენტები: ნ. გვენეტაძე, ო. კიკნაძე, ნ. მიქაუტაძე, ლ. ჩომახაშვილი, ნ. ცქიტიშვილი, მ. ლაპიაშვილი, ლ. ჩხარტიშვილი, ლ. გელენიძე, კ. გაგუა, ლ. სულხანიშვილი, ც. შარიქაძე, ლ. სანიკიძე, დ. ჯღამაია და სხვები. ამ სტუდენტებმა გაამართლეს პასუხისმგებლობა უნივერსიტეტისა და სკოლის წინაშე.

სამწუხაროდ, იყო რამდენიმე ისეთი ფაქტიც, როდესაც პრაქტიკანტები არ გამოცხადდნენ დანიშნული გაკვეთილის ჩასატარებლად. მაგალითად, სტუდენტებმა ც. ი[illegible]ველმა, ა. კალანდაძემ, ნ. ხუნდაძემ, მ. ფეიქრიშვილმა, რ. სიხარულიძემ, ზ. ქორიძემ არაფერი შეატყობინეს პრაქტიკის ხელმძღვანელებს იმის შესახებ, რომ ისინი დანიშნულ გაკვეთილზე ვერ გამოცხადდებოდნენ. ამ გარემოებამ გარკვეული უხერხულობა შექმნა. ეს ფაქტი ამ სტუდენტების უპასუხისმგებლობის ერთგვარი გამოვლინებაა.

ზოგიერთი სტუდენტი ნაკლებად მუშაობს თავის თავზე და გაკვეთილის გადაცემის დროს მეტად მძიმე მდგომარეობაში ვარდება. ისინი საცდელ გაკვეთილზე მოწაფეთა მიერ მოულოდნელად დასმულ კითხვებზე ვერ ახერხებენ პასუხის გაცემას, ანდა აშკარავებენ უცოდინარობას. არის შემთხვევა, როცა IV კურსის სტუდენტი ერთმანეთისაგან ვერ არჩევს „ცნებასა“ და „ცნობას“ და ნაცვლად „გრამატიკული ცნებისა“ ამბობს „გრამატიკულ ცნობას“. ერთ-ერთმა მათგანმა წინადადების გარჩევის დროს ქვემდებარეც კი ვერ მონახა და იგი დანართად მიიჩნია. პრაქტიკანტი უპასუხებს მოსწავლეს, რომ ურთ თანდებული სახელს სახელობით ბრუნვაში დაერთვისო და სხვ. ზოგიერთი პრაქტიკანტი სტუდენტის მეტყველებაში ხშირია დიალექტიზმები. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ძალზე ცოტას მუშაობენ თავის თავზე და უწიგნურნი არიან.

ხელმძღვანელებსა და მეთოდისტებს რთული მუშაობის ჩატარება უხდებათ იმისათვის, რომ პედპრაქტიკა წარმატებით ჩატარდეს. მომავალი სასწავლო წლიდან ფილოლოგიის ფაკულტეტზეც პედპრაქტიკა ჩატარდება სწავლებისაგან მოწყვეტით. ეს ხელს შეუწყობს სტუდენტთა სწავლებასა და სასწავლო პედაგოგიური პრაქტიკის საქმეში შემდგომი წარმატების მოპოვებას.

უ. ოთარაშვილი

ლექციების გაცდენებისა და უდისციპლინობის წინააღმდეგ

მაღალი აკადემიური წარმატების მიღწევის ერთ-ერთი პირობაა ლექცია-სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტთა სისტემატური დასწრება. მიმდინარე სასწავლო წლის I სემესტრის შედეგებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ლექცია-სემინარების გამცდენ სტუდენტთა აკადემიური მაჩვენებლები დაბალია.

ეკონომიური ფაკულტეტის დეკანატი, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები სემესტრის განმავლობაში [illegible] ზომებს იღებდნენ გამცდენ სტუდენტთა წინააღმდეგ, მაგრამ ახალი სემესტრის დაწყებასთან ერთად გაირკვა, რომ სტუდენტების ერთი ნაწილი კვლავაც უმიზეზოდ აცდენს ლექცია-სემინარებს და ხელს უშლის ფაკულტეტს საერთო წარმატების მიღწევაში.

ეკონომიური ფაკულტეტის [illegible] სპეციალობის I კურსის სტუდენტმა მ. კურიკაშვილმა თებერვლის თვეში უმიზეზოდ გააცდინა 10 საათი, [illegible] და ი. გიორგაძემ 12—12 საათი. მეორეკურსელმა სტუდენტებმა ც. კოდუამ და ლ. ჯახუტაშვილმა ერთი კვირის განმავლობაში გააცდინეს თითოეულმა 12—12 საათი, პ. შოშიაშვილმა—18 საათი, ხოლო ო. სანიკიძემ—20 საათი. სამწუხაროდ, არც ეს იშვიათია, ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები გვხვდება III—IV კურსებზედაც.

ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გაცდენის წინააღმდეგ უპირველეს ყოვლისა აკადემიური ჯგუფის აქტივი უნდა იღებდეს გადამწყვეტ ზომებს. აუცილებელია ჯგუფში ისე წარიმართოს მუშაობა, რომ შეიქმნას საზოგადოებრივი აზრი უდისციპლინო, ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გამცდენ სტუდენტთა წინააღმდეგ. ჯგუფში ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევების აღმოფხვრა, თავის მხრივ, ერთ-ერთი პირობაა მაღალი აკადემიური წარმატების მიღწევისათვის.

ამ მხრივ კარგი მდგომარეობაა IV კურსის საქონელმცოდნეობის ჯგუფში (ჯგუფხელი დ. ზაბახიძე, ჯგუფორგი გ. ნადირაშვილი), სადაც 20 სტუდენტიდან 12 ფრიადოსანია, ხოლო დანარჩენი — კარგოსანი.

ზოგიერთ ჯგუფში ვხვდებით ჯგუფის აქტივის უმოქმედობას. ჯგუფხელი უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის მოვალეობას, ობიექტურად არ აღრიცხავს სტუდენტთა დასწრებას მეცადინეობაზე და ამით ხელს უწყობს უდისციპლინო სტუდენტთა მოქმედებას. მაგალითად, II კურსის ფინანსების სპეციალობის ჯგუფის ჯგუფხელი თ. ცინცაძე მფარველობას უწევს ლექციების გამცდენ სტუდენტებს. 21 და 27 თებერვალს სტუდენტმა ზ. [illegible] გააცდინა 6-6 საათი, ჟურნალში კი აღნიშნული იყო მხოლოდ 2-2 საათი და ისიც ლექტორის მიერ. 1 მარტს გაერთიანებულ ლექციაზე არ იყო ამ ჯგუფის ოთხი სტუდენტი, მაგრამ ჯგუფხელს ისინი არ აღურიცხავს.

ცუდად მუშაობს I კურსის ვაჭრობის სპეციალობის ჯგუფის ჯგუფხელი ი. [illegible], რომელმაც 28 თებერვალს არ აღრიცხა 7 გამცდენი სტუდენტი.

ზოგიერთი სტუდენტისათვის დამახასიათებელია მეცადინეობის გაცდენა [illegible] დისციპლინაში. მაგალითად, IV კურსის სტუდენტებმა ა. [illegible] და ლ. მაჩალაძემ თებერვლის თვეში უცხო ენაში გააცდინეს 10-10 საათი, ლ. [illegible] და ვ. ქურხაშვილმა—8-8 საათი.

უკანასკნელ დღეებში ეკონომიური ფაკულტეტის დეკანატი, პარტიული და კომკავშირული ბიუროები გადამჭრელ ზომებს იღებენ ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გამცდენი სტუდენტებისა და მათი მფარველი ჯგუფხელების გამოსავლინებლად და დასასჯელად. ამ ღონისძიებამ გარკვეული დადებითი შედეგები უკვე მოგვცა.

საჭიროა [illegible] გაძლიერება იმისათვის, რომ ფაკულტეტზე არ იყოს ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გამცდენი არცერთი სტუდენტი.

ლ. მახარაძე,
უ. ხიჯხიჯაძე,
შ. დათუკიშვილი.

სტუდენტთა ცხოვრება საზღვარგარეთ

პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს უმაღლესი განათლების განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. ყოველწლიურად ფართოვდება უმაღლესი სასწავლებლების ქსელი საბჭოთა კავშირში. მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში სპეციალისტთა გამოშვება უმაღლესი სასწავლებლების მიერ 72 პროცენტით გაიზარდა მეოთხე ხუთწლედთან შედარებით. საბჭოთა მთავრობა ზრუნავს ჩვენი სტუდენტობის მატერიალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამისი მკაფიო მაგალითია სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილება სწავლის ქირის გაუქმების შესახებ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მომავალი სასწავლო წლიდან.

სავსებით საწინააღმდეგო მდგომარეობაა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციები ფაქტიურად ვერ უზრუნველყოფენ ხალხთა ფართო მასების უფლებას განათლებაზე. ხარჯავენ რა მილიარდობით დოლარს გამალებულ შეიარაღებაზე, კაპიტალისტები სულ უფრო და უფრო ამცირებენ ასიგნობებს განათლებაზე. სტუდენტობის დიდ უმრავლესობას კაპიტალისტურ ქვეყნებში სტიპენდია არ გააჩნია და ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სტუდენტთა 90%-ს შეძლებულთა შვილები.

ამასთან დაკავშირებით, მაგონდება შემდეგი შემთხვევა. შარშანწინ ჩვენს სამშობლოში სტუმრად იყო ამერიკის სტუდენტური გაზეთების რედაქტორთა დელეგაცია. ამ დელეგაციის ორი წევრი თბილისშიაც ჩამოვიდა. მე წილად მხვდა მონაწილე ვყოფილიყავი მათთან საუბრისა და მსურს ჩვენი გაზეთის მკითხველებს გავუზიარო ჩემი შთაბეჭდილებანი.

საუბრის დროს სტუმრები დაინტერესდნენ სტიპენდიის საკითხით. ჩვენ დავაკმაყოფილეთ მათი ცნობისმოყვარეობა. ვუთხარით, რომ საბჭოთა სტუდენტობა უზრუნველყოფილია სტიპენდიით სახელმწიფო ხარჯზე. თავის მხრით, მათთან საუბარში გამოირკვა, რომ ამერიკაში ძალზე ცოტა სტუდენტი თუ იღებს სტიპენდიას. კიდევ მეტი, გამოირკვა, რომ ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ქირა დიდად აღემატება სტიპენდიის რაოდენობას.

აი რას წერს ჯეროუმ დევისი თავის წიგნში „კაპიტალიზმი და მისი კულტურა“.

„ჩვენს (ე. ი. ამერიკულ. ჯ. ო.) უნივერსიტეტებში სტიპენდია იშვიათად [illegible] თუ ერგება და ის სტუდენტიც კი, რომელიც თავის თანაკურსელებზე წინ მიდის, დიდ სიძნელეებს განიცდის, თუ მას დამატებითი სახსრები არ გააჩნია არსებობისათვის“.

აქ, ნათქვამის საილუსტრაციოდ, საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლის ქირა წელიწადში 1000 დოლარს აღემატება, მაშინ, როცა მაქსიმალური წლიური სტიპენდია 800 დოლარამდე ძლივს აღწევს.

ზემონათქვამის შემდეგ „უცნაურად“ აღარ მოგვეჩვენება ამერიკული ჟურნალის „ტუმოროუს“ აღიარება, რომ მშრომელთა ოჯახებიდან გამოსული სტუდენტი ვაჟებისა და ქალების უმრავლესობა იძულებულია სწავლასთან ერთად მუშაობდეს ოფიციანტად, ცეცხლფარეშად, ავტომძღოლად, ძიძად და სხვ.

უკეთესი არაა სტუდენტთა მდგომარეობა ინგლისშიც. სტიპენდიის საშუალო ოდენობა აქ უდრის 10—30 გირვანქა სტერლინგს (ყველაზე მაღალი დანიშნება 100 გირვანქით განისაზღვრება). ეს მაშინ, როცა ინგლისელი პუბლიცისტის ჯ. [illegible] გაანგარიშებით სტუდენტთა მინიმალური ხარჯი სწავლის დროს წელიწადში უნდა შეადგენდეს 250—300 გირვანქა სტერლინგს.

ამერიკელი სტუდენტური გაზეთის რედაქტორები დაინტერესდნენ აგრეთვე სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების საკითხით. ჩვენი პასუხი იყო: უზრუნველყოფილია ყველა, ვისაც სჭირდება... მართლაც, ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტია.

რომში, მაგალითად, რომლის სტუდენტთა საერთო რაოდენობის ნახევარი იტალიის სხვადასხვა პროვინციის მცხოვრებია, არის მხოლოდ ერთადერთი საერთო საცხოვრებელი, ისიც 200 ადგილიანი. ინგლისში კი საერთო საცხოვრებლით სარგებლობა შეუძლია სტუდენტების 10-დან 25-მდე პროცენტს. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საერთო საცხოვრებლის ქირა მეტად დიდია—100-130 გირვანქა სტერლინგი წელიწადში.

ჩვენი სტუმრები დაინტერესდნენ აგრეთვე იმ საკითხით, თუ რა ენაზე წარმოებს სწავლება თბილისის უნივერსიტეტში. ნათელია, რა პასუხიც მოჰყვებოდა ამ კითხვას. საბჭოთა კავშირში, რომელიც შექმნილია სხვადასხვა ერების მჭიდრო თანამეგობრობის საფუძველზე, ყველა რესპუბლიკა თავის ნაციონალურ კადრებს ამზადებს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, რომლებიც მტკიცე ნაბიჯით მიდიან სოციალიზმის მშენებლობის გზით, უმაღლესი განათლების საქმე აქამდე უნახავ დონეზეა დაყენებული. თუ წინათ ამ ქვეყნებში უმაღლესი სასწავლებლები უმთავრესად ჩინოვნიკებს უმზადებდნენ ბურჟუაზიული სახელმწიფოს ორგანოებისათვის, ახლა საქმე ძირფესვიანად შეიცვალა. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში ამჟამად სწავლობს ათასობით მომავალი აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ინჟინერი და ა. შ.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობები დიდ ყურადღებას აქცევენ სტუდენტთა მატერიალური უზრუნველყოფის საქმეს. ასე მაგალითად, ჩეხოსლოვაკიაში ასიგნობები სტუდენტთა მატერიალური უზრუნველყოფისათვის 1929 წელთან შედარებით 30-ჯერ და მეტად გაიზარდა. ბულგარეთის ფაშისტი მმართველები სტუდენტობას მხოლოდ 200 სტიპენდიას აძლევდნენ წელიწადში. ახლა კი ბულგარეთის სტუდენტობის უდიდესი ნაწილი უზრუნველყოფილია სტიპენდიით. 1933-34 წლებში ბუდაპეშტის უნივერსიტეტის სტუდენტებს ისე მცირე თანხა ეძლეოდათ, რომ მათ წრეში შემდეგი გამოთქმა დამკვიდრდა: „მე გაძლევ შენ [illegible], თვალის ჩინივით გაუფრთხილდი მას“. 1951-52 სასწავლო წელს კი უნგრეთში სტუდენტთა სტიპენდიისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ იქნა 191 მილიონი ფორინტი.

დიდ ყურადღებას უთმობენ სტუდენტობას აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკების მთავრობები. ასიათასობით ჩინელ, კორეელ, ვიეტნამელ სტუდენტს ყოველგვარი პირობა აქვთ შექმნილი, რათა ისინი მალე ჩადგნენ ახალი ცხოვრების უშიშარ მშენებელთა რიგებში.

* * *

თანახმად სკკპ XX ყრილობის დირექტივებისა, მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში სპეციალისტთა გამოშვება ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების მიერ უნდა გაიზარდოს 1,5-ჯერ, ხოლო მძიმე მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა —2-ჯერ. ეს მრავალმნიშვნელოვანი ფაქტია, იმიტომ, რომ, როგორც ამხ. ნ. ხრუშჩოვი მიუთითებდა პარტიის XX ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში, „სახალხო განათლების მდგომარეობა მკაფიოდ გამოხატავს წარმატებებს, რომლებიც ჩვენ კულტურის განვითარებაში მოვიპოვეთ“.

ჯ. ოგანოვი

ნ. ი. ლობაჩევსკი

ბუნებისმეტყველების დიდებულ შენობაში არაერთგზის მოსულან გენიალური ხუროთმოძღვრები, რათა აეგოთ ახალი წარმტაცი სართული მეცნიერებისა. ნიკოლოზ ივანეს-ძე ლობაჩევსკი ერთ-ერთი ამ ხუროთმოძღვართაგანია, ხოლო როგორც მისი გეომეტრია — ამ შენობის ერთ-ერთი ულამაზესი სართულთაგანი.

არაევკლიდური გეომეტრიის უკვდავი შემოქმედი დაიბადა 1792 წლის 1 დეკემბერს ნიჟნი ნოვგოროდში. მისი ბავშვობა არ ყოფილა უღრუბლო—მამა ადრე დაკარგა და სიღარიბესა და გაჭირვებაში იზრდებოდა ძმებთან ერთად. ოჯახმა ყაზანს მიაშურა. 1802 წელს პატარა ნიკოლოზი ჩარიცხეს გიმნაზიაში, სადაც განსაკუთრებით ბეჯითად სწავლობდა მათემატიკასა და ლათინურ ენას. 14 წლისა ყაზანის ახლადგახსნილი უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. საგანგებო ნიჭის გამოჩენამ სწრაფად მოუტანა დიდი წარმატებები: 1811 წელს ლობაჩევსკი — მაგისტრია, სამი წლის შემდეგ კი—ადიუნქტი. იგი აქტიურად ებმება პედაგოგიურ მოღვაწეობაში და 24 წლის ასაკში უკვე პროფესორი ხდება. გეომეტრიის კურსების კითხვამ მას ღრმა ინტერესი გაუღვიძა ამ საგნის დაფუძნებისადმი.

1826 წლის 23 თებერვალს ფიზიკა-მათემატიკის განყოფილების სხდომაზე ლობაჩევსკიმ გააკეთა მოხსენება თავისი მეცნიერული კვლევის შესახებ. ეს იყო არაევკლიდური გეომეტრიის დაბადება. გაიარა სამმა წელმა და „ყაზანის უწყებებში" გამოქვეყნდა სტატია „გეომეტრიის საწყისების შესახებ". მას მოჰყვა ბერლინსა და ყაზანში გამოქვეყნებული რამდენიმე შრომა, რომლებშიც ავტორი ავითარებს თავის შესანიშნავ იდეებს. ასე იქმნება არაევკლიდური გეომეტრია.

გეომეტრიის სასკოლო კურსიდან კარგადაა ცნობილი ევკლიდეს მეხუთე პოსტულატი, რომელიც ამბობს, რომ **თუ რაიმე სიბრტყეში მოცემულია სწორი ხაზი და მის გარეშე მდებარე წერტილი, მაშინ ამ წერტილზე შეიძლება გავატაროთ მოცემული სწორი ხაზის პარალელური ერთადერთი სწორი ხაზი.** მეცნიერები ორი ათასი წლის განმავლობაში ცდილობდნენ ეს პოსტულატი წინა სხვა პოსტულატებისა და აქსიომების გამოყენებით დაემტკიცებინათ, მაგრამ ამაოდ. ლობაჩევსკიმაც მეხუთე პოსტულატის დამტკიცების ცდებიდან დაიწყო, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს შეუძლებელია. თანდათანობით იგი იმ აზრამდე მივიდა, რომ ევკლიდეს გეომეტრია არ არის ერთადერთი შესაძლებელი გეომეტრია, და ახალი გეომეტრიის შექმნა დაიწყო. მან საფუძვლად აიღო ევკლიდეს ყველა აქსიომა და პოსტულატი, გარდა მეხუთისა, რომელიც საწინააღმდეგოთი შეცვალა: **თუ რაიმე სიბრტყეში მოცემულია სწორი ხაზი და მის გარეშე წერტილი, მაშინ ამ მოცემულ წერტილზე შეიძლება გავავლოთ არა ერთი, არამედ უსასრულოდ ბევრი სწორი ხაზი, რომლებიც მოცემულ სწორ ხაზს არ გადაკვეთენ.** ასეთ საფუძველზე მიღებული დასკვნები არა მარტო არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, არამედ შეადგენენ ახალ, არაევკლიდურ გეომეტრიას, სრულყოფილს, მდიდარს და ლოგიკურად ისევე უნაკლოს, როგორც ევკლიდესი. ამ გეომეტრიას მისმა შემოქმედმა „წარმოსახვითი" უწოდა, ახლა კი ლობაჩევსკის გეომეტრიას უწოდებენ.

ვიდრე ამ დიდი აღმოჩენის ბედზე ვილაპარაკებდეთ, გავაგრძელოთ მისი ავტორის შემდგომი ცხოვრების გზა. 1827 წელს ლობაჩევსკის ირჩევენ უნივერსიტეტის რექტორად და ამ პოსტზე იგი 19 წლის განმავლობაში რჩება. გენიალური გეომეტრის სიცოცხლის ბოლო წლები ფიზიკური დასუსტებით მოიცვა: უკანასკნელი ნაწარმოები „პანგეომეტრია" ბრმა მოხუცმა თავის მოწაფეებს უკარნახა. 1856 წლის 24 თებერვალს, ზუსტად 30 წლის შემდეგ თავისი გეომეტრიის დაბადებიდან, ლობაჩევსკი გარდაიცვალა.

ცხოვრება ლობაჩევსკისადმი საკმაოდ მკაცრი იყო. სამწუხაროა მისი ქმნილების თავდაპირველი ბედი: ამ შემბრუნებელ მეცნიერულმა რევოლუციამ თანამედროვეთა, თვით ყველაზე დიდ მათემატიკოსთა გვერდით ჩაიარა. ლობაჩევსკის საოცრად ღრმა იდეების ღირსება და მნიშვნელობა თავის დროზე ვერ გაიგეს. ამ უდრეკ მეცნიერს ბევრი დაცინვა, დაუფარავი მტრობა, შეურაცხმყოფი კრიტიკა და თავხედური გამასხარავება ხვდა წილად სიცოცხლეში, და როგორ თაყვანისცემას იმსახურებს იმ კაცის ნებისყოფის ძალა, რწმენა და გმირობა, ვინც სრულ მეცნიერულ ობლობაში თვით სამარის კარამდე იცავდა და ავითარებდა თავის იდეებს, მხურვალედ სწამდა რა მათი უკვდავება! მაგრამ ეს უკვდავება მხოლოდ სიკვდილის შემდეგ მოვიდა: წაიკითხა რა აღფრთოვანებული გამოხმაურებანი ლობაჩევსკის გეომეტრიის შესახებ მათემატიკური აზროვნების ერთ-ერთი ტიტანის კარლ ფრიდრიხ გაუსის გვიან გამოქვეყნებულ მიმოწერაში, მათემატიკური მსოფლიო დიდად დაინტერესდა ამ გეომეტრიით. იტალიელი მათემატიკოსის ბელტრამის შრომა, რომელმაც ევკლიდეს ჩვეულებრივ სივრცეში აღმოაჩინა ფართეულები, სადაც სწორედ ლობაჩევსკის გეომეტრია ხორციელდება და მით რეალურად გამოსახა ეს გეომეტრია, პირველი რგოლი იყო გამარჯვებათა გრძელ ჯაჭვში, ჯაჭვში, რომელსაც არ უჩანს მეორე ბოლო.

ლობაჩევსკი როდი იყო მარტოოდენ დიდი გეომეტრი. გამუდმებით იდგა რა თანამედროვე მეცნიერების დონეზე, იგი წერდა შრომებს მათემატიკურ ანალიზში, ალგებრაში, ალბათობის თეორიაში, ფიზიკასა და ასტრონომიაში. ამ შრომებს, ცხადია, არა აქვთ ისეთივე მნიშვნელობა, როგორიც მის გეომეტრიულ გამოკვლევებს. მაგრამ მათში არაერთხელ ელვარებულა ნათელი გენიის ნაპერწკალი და საკვლევი დარგის ყველაზე ფაქიზი ადგილების ღრმა გაგება.

ლობაჩევსკიზე არ გვექნებოდა სრული წარმოდგენა, რამდენიმე სიტყვა რომ არ გვეთქვა მასზე, როგორც პედაგოგზე. მან დატოვა საუცხოო ლექტორისა და გამოჩენილი პედაგოგის სახელი. მისი შესანიშნავი სიტყვა, წარმოთქმული რექტორის პოსტზე ასვლის შემდეგ და გამოქვეყნებული სათაურით „აღზრდის უმნიშვნელოვანესი საგნების შესახებ", სავსეა პედაგოგიური აზრის მარგალიტებით.

ლობაჩევსკის გეომეტრიის შექმნასთან დაკავშირებულია ახალი ეპოქის დასაწყისი არა მარტო გეომეტრიაში, არამედ მთელს მათემატიკაში და მის საზღვრებს გარეთაც კი. მან გამოიწვია ბევრი მეცნიერული დარგის მძაფრი განვითარება და ჯერ ფრიად შორსაა უკანასკნელი სიტყვის თქმისაგან. ამაშია მისი უდიდესი მნიშვნელობა და ყოველივე ეს ლამაზადაა გამოხატული ინგლისელი მათემატიკოსის კლიფორდის სიტყვებში, როცა მან ლობაჩევსკის უწოდა „გეომეტრიის კოპერნიკი".

თ. მბანოიძე

ატარებენ საინტერესო ექსპერიმენტებს

როდესაც ადამიანთა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის საექსპერიმენტო ლაბორატორიაში შევედით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ფრიად საინტერესო გარემოებამ. ოთახის ერთ კუთხეში სპეციალურად მოწყობილ ადგილზე შევნიშნეთ ძაღლი, რომელიც რაღაცის მოლოდინში ცქმუტავდა და ვერ ისვენებდა. ამ დროს გაისმა მეტრონომის რიტმიული ხმა და ძაღლმაც დატოვა თავისი ადგილი, სწრაფად მიირბინა ოთახის მეორე კუთხეში და იქ დაყრილ საკვებს ხარბად დაუწყო ჭამა.

ჩვენთვის მალე ყველაფერი ნათელი გახდა. იქ, საიდანაც მეტრონომის ხმა მოისმოდა, მაგიდას უსხდა ორი თეთრხალათიანი ახალგაზრდა. ესენი იყვნენ ასპირანტი ნ. ხერხეულიძე და სალექციო ასისტენტი თ. ონიანი, რომლებიც მორიგ ექსპერიმენტს ატარებდნენ ძაღლის პირობით რეფლექსებზე.

თ. ონიანი და ნ. ხერხეულიძე ამ ლაბორატორიის ხშირი სტუმრები არიან. სადისერტაციოდ მათ მეტად საინტერესო თემები აქვთ არჩეული, რომლებიც მრავალი ექსპერიმენტისა და ცდის ჩატარებას მოითხოვს. გარდა ამისა თავიანთი ინდივიდუალური სამუშაო გეგმის მიხედვით მათ უხდებათ რიგი ცალკეული სამეცნიერო თემის დამუშავება.



სურათზე: თ. ონიანი (მარცხნივ) და ნ. ხერხეულიძე მორიგი ექსპერიმენტის ჩატარების დროს.

სპარტაკიადის წინ

ჩვენი უნივერსიტეტის მოფარიკავეთა კოლექტივი ერთ-ერთი უძლიერესია სსრ კავშირის უმაღლესი სკოლების სამინისტროს მოფარიკავეთა გუნდებს შორის. მან საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლების პირველობაზე გასულ წელს დამსახურებულად დაიკავა მე-2 საპრიზო ადგილი. ჩვენი მოფარიკავეთა გუნდის 5 წევრი საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრებ გუნდშიაც შედის, ხოლო საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი რ. ცირეკიძე, მოფარიკავეები ჯ. ზენაიშვილი და ჯ. მაჭავარიანი მთელ კავშირში არიან ცნობილი.

ეს ყველაფერი კარგია. კარგია ისიც, რომ ზემოაღნიშნული ხუთი მოფარიკავე, რომლებიც საქართველოს ნაკრებში შედიან, სისტემატურად ვარჯიშობენ და პასუხისმგებლობით ემზადებიან ქ. თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სპარტაკიადისათვის, მაგრამ ყოველივე ამას თავის უარყოფით დაღს ასვამს ზოგიერთი უდისციპლინო სპორტსმენის გაუმართლებელი საქციელი.

მაშინ, როდესაც სპორტის სხვადასხვა სახეში უნივერსიტეტის ნაკრები გუნდები გაზრდილი დატვირთვით ემზადებიან მომავალი სპარტაკიადისათვის, საწვრთნო მეცადინეობებს არ ესწრებიან პირველთანრიგოსანი მოფარიკავეები: მ. ალაღიძე (დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი) და ლ. კაკაბაძე (ფიზიკის ფაკულტეტი). ამ სტუდენტების შესახებ მრავალჯერ ეცნობა სათანადო ფაკულტეტების კომკავშირულ და პროფკავშირულ ბიუროებს, მაგრამ შედეგი დღესაც არ ჩანს.

უნივერსიტეტში ბევრია მაღალი თანრიგის სპორტსმენი, რომელმაც I კურსზე ჩარიცხვისას მრავალი საბუთი, სიგელი და დახასიათება წარმოადგინა თავისი სპორტული მაჩვენებლების შესახებ. მათ ერთგვარი ანგარიშიც გაეწიათ და შემდეგ რა მოხდა?—მოხდა ის, რომ ისინი ახლაც არ გაკარებიან ჩვენი კოლექტივის სპორტულ ცხოვრებას. ასეთები არიან ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტები პირველთანრიგოსანი მოფარიკავეები ა. გობრონიძე და ბ. ჩინჩალაძე, რომლებსაც სრულებითაც არ აინტერესებთ ჩვენი კოლექტივის წარმატება.

ქ. თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სპარტაკიადის შემდეგ იწყება უნივერსიტეტის VII ტრადიციული სპარტაკიადა. სპარტაკიადის პროგრამაში შედის ფარიკაობაც. ამ ღონისძიებაში მონაწილე ყველა ფაკულტეტმა უნდა გამოიყვანოს მოფარიკავეთა გუნდი. სამწუხაროდ კი თითქმის არავითარი მზადება არ მიმდინარეობს. ზოგიერთი ფაკულტეტიდან (მაგალითად, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტიდან და დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტიდან) ფარიკაობის სექციაში არცერთი სტუდენტი არ ვარჯიშობს, ხოლო ქიმიის ფაკულტეტიდან ნაცვლად 3 ქალისა და 3 ვაჟისა, რაც ფაკულტეტის გუნდისათვის აუცილებელია, სექციაზე დადის ერთი ქალი. ფილოლოგიის ფაკულტეტიდან კი—2 სტუდენტი, ნაცვლად ექვსისა. ამ გარემოებას არ უფიქრდებიან აღნიშნული ფაკულტეტების ფიზკულტურის უფროსი მასწავლებლები და საფაკულტეტო ფიზკულტურული საბჭოები.

ბ. მესხი,
ვ. კასრაძე.

საინტერესო თემაზე

მტაცებელი მცენარე

მკითხველი ალბათ გაკვირვებას გამოთქვამს მტაცებელი მცენარის ხსენებაზე, რადგანაც მცენარეს ვეფხვივით ბასრი კბილი და კლანჭები არ გააჩნია და მგელივით სირბილიც არ შეუძლია. მას არ აქვს თვალები და ყნოსვის ორგანო, რომ სამსხვერპლო ადვილად აღმოაჩინოს.

მიუხედავად ამისა, არსებობენ ისეთი მცენარეები, რომლებსაც მტაცებლის თვისებები ახასიათებთ და სულიერი არსებით იკვებებიან. ერთი ასეთი მცენარეა დროზერა.

დროზერა ტორფიანი ჭაობის მცენარეა, იგი საქართველოში გვხვდება აფხაზეთსა და აჭარაში, აგრეთვე ფოთის მიდამოებში. ეკუთვნის დროზერასებრთა ოჯახს და გვხვდება რამდენიმე გვარის სახით.

დროზერა წარმოადგენს მოწითალო ფერის ბალახს. იგი—ზოგი წყალში ცურავს, ზოგიც ჭაობში ხავსზეა მოთავსებული, მას ძირში შეზრდილი ათამდე ფოთოლი ჩვეულებრივად განრთხმული და რგოლურად განლაგებული აქვს. ფოთლებს შორის 5—25 სმ-მდე სიმაღლის ღეროა ამოწვდილი, რომელზედაც მოთეთრო ყვავილები მტევნებად არის შეკრული.

ფოთლები ქვემოდან მწვანეა, ზემოდან კი მოწითალო. ფოთლის გული თავმსხვილი ბუსუსებითაა დაფარული. ეს ბუსუსები ფოთლის შუა ნაწილში მოკლეებია, კიდეებზე კი გრძელი. ბუსუსების ბოლო მსხვილი ნაწილი სავსეა წებოსმაგვარი, მსუსხავი, გამჭვირვალე და ლაპლაპა სითხის წვეთებით.

მწერები შეეხებიან თუ არა დროზერას ფოთლების ბუსუსებს, გაითხუპნებიან აღნიშნული წებოვანი სითხით და, რამდენადაც უფრო შეეცდებიან ისინი განთავისუფლებისაგან თავის დაღწევას, მცენარე მით უფრო მეტ წებოვან ძაფებს გამოყოფს და მსხვერპლს ხვევს მომაკვდინებელ ბადეში.

ღონემიხდილი მწერი ბოლოს იძულებული ხდება დამორჩილდეს მცენარეს. ამის შემდეგ იწყება ნადავლის რბილი

ნაწილების გადამუშავება. ცოტა ხანიც და ფოთლები კვლავ სწორდებიან. მცენარე უბრუნდება ჩვეულებრივ მდგომარეობას. ფოთლის გულზე რჩება მწერის მხოლოდ რქოვანი ნაწილი, რბილი ნაწილი კი მცენარის სიცოცხლეს ხმარდება.

სხვათაშორის, დროზერაზე შეიძლება საინტერესო ცდების ჩატარება. იგი შეგვიძლია მოვაშენოთ სასურველ ადგილზე, ოთახის პირობებშიც კი, თუ მას შევუქმნით საჭირო პირობებს და უზრუნველვყოფთ საკვებით. თუ დროზერას ფოთლებზე დავდებთ რაიმე საკვებ ნივთიერებას—ხორცის, ყველის, კვერცხის ან სხვა პროდუქტის ნაჭერს, მას მცენარე იმავე წესით გადაამუშავებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. ხოლო საკვებად უვარგისი საგნების—ქვიშის, ხის ან სხვა ამგვარი საგნის შეხებისას იგი სრულიადაც არ შეირხევა.

ზემოაღნიშნული იმითაა გამოწვეული, რომ დროზერა ხარობს ისეთ პირობებში, სადაც ცოტაა ცილოვანი ნივთიერებანი და მარილები. ამის გამო მას გამოუმუშავდა ამ დანაკლისის შესავსები საშუალებები. ამასთან დაკავშირებით, დროზერა ითვლება სასარგებლო მცენარედ, რადგან იგი სპობს კოღოებსა და სხვა მავნე მწერებს.

სახელწოდება დროზერა ბერძნული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს ცვარს, შესაბამისად ზემოაღნიშნული იმ მბრწყინავი წვეთებისა, რომელიც ცვარს წააგავს.

სხვათაშორის, ამ მცენარის სახელწოდება ინგლისურად—„სანდიუ", გერმანულად—„ზონენტაუ" და რუსულად „როსიანკა" სიტყვა ცვარისაგან წარმოსდგება. ქართულად კი ეს სიტყვა პირდაპირ ბერძნულიდან გადმოუღიათ. თუმცა ჩვენში მას ხალხი მწერიჭამიასაც უწოდებს, მაგრამ რადგანაც მწერიჭამია მცენარეები სხვებიც არიან, ჩვენი აზრით, დროზერას ნამდვილი ქართული სახელი „ცვარიანა" უნდა იყოს.

ნ. თოდუა,
ბიოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

რედაქტორი ირ. მეფაიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 3-28-66.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000. უე 02195.